(X—
976/13.046 976/113

პრივატიზების მაცნე

№ 13
1-15 სექტემბერი,
1995 წელი

PRIVATIZATION HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი — გამოდის 1993 წლიდან — ფასი 250 000 კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №525

1995 წლის 29 აგვისტო, ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში საწარმოო და სამეურნეო მარაგების ღირებულების ინდექსაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა საწარმოო და სამეურნეო მარაგების — ნედლეულის, მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების, ნახევარფაბრიკატების, სათბობის, ტარის, მაკომპლექტებელი და სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების, მზა პროდუქციის (საქონლის), დაუმთავრებელი წარმოების და სხვ. ღირებულების ინდექსაცია (გადაფასება) განხორციელდეს 1995 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ამ დროისათვის ფორმირებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით. ამასთან, საწარმოო და სამეურნეო მარაგები და სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც შეძენილია თავისუფალი (საბაზრო) ფასებით, ინდექსირებას არ ექვემდებარებიან, ან ექვემდებარებიან ინდექსირებას, თუ ეს ფასები დაბალია მათ საბაზრო ღირებულებაზე.

2. საწარმოო და სამეურნეო მარაგების ღირებულების ინდექსირებას (გადაფასებას) ახდენენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები. ამ მიზნით იქმნება სპეციალური კომისიები ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით.

3. ეროვნული მეურნეობის შესაბამის დარგებში (ქვედარგებში) საწარმოო და სამეურნეო მარაგების ღირებულების ინდექსაციის სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროთ შესაბამის დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, მართვის სხვა ორგანოებს, მათში ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ კომისიებს.

ხანგრძლივი პერიოდის განძავლობაში დაგროვილი მნიშვნელოვანი მოცულობის მარაგების გადაფასება იწარმოებს ერთიანი გამსხვილებული დარგობრივი კოეფიციენტებით, რომლებსაც შეიმუშავებენ და 1995 წლის 1 სექტემბრამდე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციამდე დაიყვანენ შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან, სოცეკონომინფორმთან წინასწარი შეთანხმებით. დარგობრივი სამინისტროები არსებული მარაგების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვების საფუძველზე განსაზღვრავენ ასეთი მარაგების სახეებს.

ინდექსირების კოეფიციენტების განსაზღვრისას სამინისტროები, უწყებები და მმართველობის სხვა ორგანოები უნდა გამოდიოდნენ ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციფიკიდან და არსებული საბაზრო კონიუნქტურიდან.

4. საწარმოებში და სამეურნეო ორგანიზაციებში მარაგების აფასების თანხები მიმართულ იქნეს სპეციალურ ფონდში (88 ანგარიში), ხოლო საბიუჯეტო დაწესებულებებში — აისახოს ფონდების გაბრლაში. ინდექსირების შედეგები აისახოს 1995 წლის წლიურ საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში.

5. საწარმოო და სამეურნეო მარაგების ინდექსირების საერთო მეთოდური ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ინდექსირების შედეგების საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვის წესის შესახებ ინსტრუქციის შემუშავება და დაყვანა სამინისტროებამდე, უწყებებამდე და მმართველობის სხვა ორგანოებამდე.

6. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის შეიმუშაოს საბრუნავი საშუალებების ინდექსირების სტატისტიკური ანგარიშების ფორმა და მისი წარდგენის, აგრეთვე ინდექსირების შედეგების მიღების, დამუშავებისა და განზოგადების წესი.

7. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და მმართველობის სხვა ორგანოებმა საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მშვევობით წარმოადგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მოხსენება საბრუნავ საშუალებათა ინდექსირებისათვის გაწეულ სამუშაოთა და მათი შედეგების შესახებ 1996 წლის 1 აპრილისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრი
ო.ჭანტურია

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

დამტკიცდა შეფასების მეთოდიკა

"პურპროდუქტების მრეწველობის საწარმოთა და ობიექტების პრივატიზების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 7 აგვისტოს №303 ბრძანებულებით და "საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 30 ივნისის №392 დადგენილებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების დროს სახელმწიფო ქონების გასაყიდი ფასის განსაზღვრის სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიამ ოქმი № 39.04.873 გადაწყვიტა, რომ ქ. თბილისში განთავსებული ობიექტების პრივატიზებისას ძირითადი საშუალებების პასიური ნაწილის (დაუმთავრებელი მშენებლობების გარდა) ქონების შეფასება მოხდეს ქ. თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის 1994 წლის 29 სექტემბრის №07.02.44 გადაწყვეტილებით დამტკიცებული არასაცხოვრებელი ფართობების აფასების მეთოდიკით; რესპუბლიკის ქალაქებსა (ქ. თბილისის გარდა) და რაიონებში განთავსებული ობიექტების პრივატიზებისას ძირითადი საშუალებების პასიური ნაწილის (დაუმთავრებელი მშენებლობების გარდა) ქონების შეფასების დროს გამოყენებულ იქნას აღგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული შესაბამისი ტერიტორიული კოეფიციენტები, მათი არარსებობის შემთხვევაში კი — კოეფიციენტი — 2,0.

კოლეგიის გადაწყვეტილებით სამინისტროს ბუღალტერიას (გ. ალადაშვილი) დაევალა:

ა) პურპროდუქტების მრეწველობის ობიექტების პრივატიზებიდან შემოსული, მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ ანგარიშზე ჩასარიცხი თანხების 70% ჩაერიცხოს პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციას, რომლის საბანკო რეკვიზიტებია: სააქციო კომერციული აგრომრეწვბანკის თბილისის განყოფილება, მფო 220101412, ს\ა №000381025.

ბ) ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების პრივატიზაციიდან ამოღებული სახსრები, პრივატიზაციის ორგანიზაციისათვის საჭირო ხარჯების გამოკლებით, ჩაერიცხოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომლის საბანკო რეკვიზიტებია: გაერთიანებული ქართული ბანკის ჩუღურეთის რაიონის №1 ფილიალი, მფო 522997, ს\ა №051700612, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდს.

დაევალოს სოციალური (კ. სოხაძე) და აგროსამრეწველო (თ. ჩხეიძე) სფეროს განყოფილებებს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აცნობონ კოლეგიას ამ დადგენილების შესახებ, შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და პურპროდუქტების მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციას; დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას (მ. გაბუნია) 10 დღის ვადაში უზრუნველყოს კოლეგიის ამ დადგენილების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებამდე დაყვანა.

ამ დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალათ მინისტრის მოადგილეებს, ბატონებს: ვ. ქარსელაძეს და კ. იოსელიანს.

ნომერში

მარაგების ღირებულების ინდექსაციის შესახებ — გვ. 1

ფელეტონის მაგივრ ანუ „ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!" — გვ. 2

სპორტული მაღაზიის ხვალინდელი დღე — გვ. 2

დამტკიცდა შეცამეტე და მეთოთხმეტე სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონზე გასატან სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხა — გვ. 3

პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე აუქციონების შედეგების მოკლე ანალიზი (მხოლოდ ციფრები) — გვ. 4-5

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო რუსეთში შეუდგა რეგიონალური პროგრამის განხორციელებას — გვ. 6

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსებს — გვ. 8

ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

შეგანილია ცვლილებები

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიამ 1995 წლის პირველ სექტემბერს მიიღო დადგენილება მეცხრე და მეცამეტე სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონზე გასაგან სააქციო საზოგადოებების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საწესდებო კაპიტალის დაზუსტებასთან დაკავშირებით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1.ამოღებული იქნეს №9 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის ნუსხიდან სააქციო საზოგადოება "არგვეთა".

2.№ 13 სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონის ნუსხაში სააქციო საზოგადოება "ანძა"-ს გამოშვებული აქციების რაოდენობა ნაცვლად ნუსხაში მითითებული 986494-სა უნდა იყოს 1045933, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად 346000-სა უნდა იყოს 493000, შესაბამისად პროცენტი საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 35,07-სა უნდა იყოს 47,13, ხოლო ნომინალური ღირებულება ამშ დოლარებში ნაცვლად 505847,95-სა უნდა იყოს 720760,23.

საბარათო და განაცხადების გადამამუშავებელ სააუქციონო ცენტრს (ე.ჯ.ულელი) დაევალა უზრუნველყოს ამ ცვლილების შესახებ ინფორმაციის რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნება და განცხადების მიმღებ ყველა პუნქტისათვის დროული მიწოდება.

ფელეტონის მაგივრ

„ჩუმად, ჩუმად! არვინ გაგვიგოს!“

უცნაურია ჟურნალისტის ცხოვრება.

სულ ფიქრობს.

სულ მოძრაობს.

სულ ეძებს.

ზოგჯერ პოულობს, ზოგჯერ – ვერა.

წარმატებაც აქვს, მარცხიც თან დაჰყვება.

ზოგისთვის სასურველი სტუმარია, ზოგისთვის უცხო და მიუღებელი. ხან ენდობიან, ხან მისი არ სჯერათ და წყეველაკრულვით იკლებენ.

ახალბედებისთვის შემაშფოთებელია, გამოცდილი კალმოსნებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ეს ყველაფერი.

ასე იყო, ალბათ, ასე იქნება მომავალში, მაგრამ... ეშმაკმა დაწყველოს ეს "მაგრამ". სწორედ იქ წამოტივტივდება, სადაც სულ არ არის საჭირო და ყველაფერს აურევს. გგონია რაღაცას მიაგენი, რაღაც გზა იპოვე, მკითხველისთვის საინტერესო და საჭირო მასალა წინ გიდევს და ამ დროს არევს ყველაფერს, თავდაყირა დააყენებს საწადმართო საქმეს.

ეს საერთოდ.

კონკრეტულად და დღეს ამ "მაგრამ"-ს ემატება ისეთი რაღაც, რაც მხოლოდ ჩვენში, ჩვენს არეულ-დარეულ ყოველდღიურობაში შეიძლება მოხდეს.

უსამართლობა იქნება იმის თქმა, რომ წინ არ მივდივართ.

არა!

პოლიტიკური სტაბილიზაცია სულ უფრო საგნობრივი და ხელშესახები ხდება. თითქოს სოციალური დაძაბულობაც ნელდება, ხალხი ნელა, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც სულს ითქვამს. ვითომ ამოვისუნთქეთ, ცოტა მხრებშიც გავიშალეთ, საქმეს მოვკიდეთ ხელი და სადაცაა ყინულიც უნდა გალღვეს.

თუმცა მორიდების, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, შიშის ფაქტორს მაინც ვერ ვძლიეთ, გაკეთებული საქმე სააშკარაოზე ვერ გამოგვაქვს, დღის სინათლეზე გამოსვლას ისევ ჩრდილში დგომას ვამჯობინებთ.

რატომ დაგეჭირდა. ამაზე საუბარი?

ახლავე მოგახსენებთ.

როგორც იქნა მივხვდით და ხმამაღლა ვაღიარეთ, რომ ის, რაც ყველასია, არავისი არ არის. საერთოს პატრონი არ ჰყავს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, მისი საწარმოების, ორგანიზაციების თანამშრომელთა, კერძო პირების ხელში გადასვლა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ ყველაფერს თავისი პატრონი ჰყავდეს, ყოველგვარ საქმიანობას დაინტერესებული ადამიანები წარმართავდნენ.

ასეც ხდება. მარტო თბილისში სამრეწველო, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ათასობით ობიექტია პრივატიზებული. მათი უმრავლესობა რაღაცას აკეთებს, თანდათან ღონიერდება, ახალი ფორმით ამყარებს ურთიერთობებს მომწოდებელთან, მყიდველთან.

პრივატიზებული მაღაზიების დახლებზე ძვირი, მაგრამ რეალური სამრეწველო საქონელი, პროდუქტები გამოჩნდა, არც კაფე-ბარებს აკლიათ სტუმარი და მომხმარებელი.

ამას გარეშე თვალიც ამჩნევს, აფასებს.

გაგვიჭირდა მხოლოდ ჟურნალისტებს.

ახლახან გადავწყვიტეთ ამგვარ საწარმოებს, მაღაზიებს, კაფეებს ვწვეოდით, ჩვენც გავრეულიყავით და მკითხველისთვის დამაჯერებლად გვეჩვენებინა გაკეთებული, მიღწეული, გაგვეანალიზებინა ვინ რა მოიგო, ვინ რა წააგო.

ფაქტია, რომ ბევრმა მოიგო, ასპარეზი, სამოქმედო არე გაიფართოვა, სხვებისთვისაც საჭირო გამოცდილება დააგროვა.

სწორედ ამაზე გვინდოდა ჩვენი მკითხველის ყურადღების გამახვილება.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

სწორედ ეს დაგვემართა.

ვიარეთ, ვიარეთ თბილისის ქუჩებში, პრივატიზებული ობიექტების ხელმძღვანელიც ბევრი ვნახეთ, თანამშრომელიც და რედაქციაში... ხელცარიელები, უფრო ზუსტად, ცარიელი უბის წიგნაკებით დავბრუნდით.

ყველამ გულთბილად მიგვიღო როგორც მომხმარებელი და ცივად გამოგვისტუმრა როგორც ჟურნალისტი.

ჩვენს შეკითხვებზე პასუხი თითქმის ყველგან ერთნაირი იყო.

აი, ასეთი:

– რედაქციიდან ბრძანდებით? კეთილი. რით შეგვიძლია გემსახუროთ?.. ინფორმაციით?.. რა გავაკეთეთ?.. გავმდიდრდით თუ არა?.. გაზეთში უნდა დაბეჭდოთ?.. თქვენ რა, სახუმარო სხვა ვერაფერი იპოვეთ?.. გაზეთში დაწერთ და იმავე დღეს თავზე ათასი ვინმე დაგვადგება... მძარცველი ჯერ კიდევ ბევრია თბილისში... არა, არა! არ გვინდა არავითარი რეკლამა! დამშვიდდეს, დაწყნარდეს ეს ქვეყანა და მერე მობრძანდით!

აი ასე, უკეთესი ცხოვრების იმედით გვისტუმრებს ყველა.

უკეთესის იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს. ცხოვრება, ცხადია, დაწყნარდება, მაგრამ მანამდე? მანამდე, "ჩუმად, ჩუმად! არვინ გაგვიგოს!"

კი, მაგრამ ბნელა? მძარცველი ისედაც ხედავს, იცის, თუ ვინ რას აკეთებს, ვინ იგებს, ვინ აგებს. მაშ, რას ვმალავთ და ვის ვუმალავთ?

ესეც დასაფიქრებელია.

რ.ჟორჟიძე

P.S. იყო გამონაკლისიც – ერთადერთი შემთხვევა, როცა მასპინძელს არ შეშინებია და რისი თქმაც შეიძლებოდა, არ დაუმალავს. ამაზე წერილს აქვე გთავაზობთ.

პრივატიზებულია. როგორ მუშაობს?

მაღაზია სახეს აღიდგენს

ალბათ, ყველა თბილისელმა იცის რუსთაველის პროსპექტზე, "ზემელზე" მდებარე სპორტული მაღაზია.

ალბათ, ყველა თბილისელს ახსოვს ადრე რა ხალხმრავლობა იყო აქ, მყიდველთა ნაკადი განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში მატულობდა. აქ ხომ მხოლოდ სპორტსმენები არ იძენდნენ თავიანთ აღჭურვილობას – ზაფხულობით მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ქალაქი თითქმის იცლებოდა, ყველა ზღვისკენ თუ მთისკენ მიეშურებოდა, ყველას უნდოდა გარიდებოდა ქალაქის ხმაურიან და დასიცხულ ქუჩებს...

და ვერც ერთი ოჯახი გვერდს ვერ აუვლიდა ამ მაღაზიას. ყველას სჭირდებოდა სპორტული ფეხსაცმელი – კედები, კარვები, საძილე ტომრები, ბურთები, საბანაო კოსტუმები, ჩოგბურთისა. და ბადმინგტონის ჩოგნები და ბურთები, მთაში სავალი "ტრიკოლები" – მჭიდლანჩიანი ფეხსაცმელები... და კიდევ ვინ იცის, რამდენი სხვა რამ, ყველას ვერც გავიხსენებთ და, ალბათ, არც არის საჭირო.

დიახ, ამ სპორტულ მაღაზიაში ვაჭრობა დუღდა და გადმოდუღდა. იყო ასეთი დრო...

თუმცა ვაჭრობით მაღაზია დღესაც ვაჭრობს, მაგრამ...

დღეს აქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული, სხვათაშორის ისე, როგორც თბილისის ყველა დანარჩენ მაღაზიაში. მაღაზიების უმრავლესობამ თითქმის დაკარგა "ვიწრო" პროფილი, – სახე იცვალა, შერეულ მაღაზიას დაემსგავსა, თუმცა ჩვენ კვლავ ჩვენი დღევანდელი საუბრის თემას სპორტულ მაღაზიას დავუბრუნდეთ...

1992 წლამდე მას "სახელმწიფო საწარმო ლელო" ეწოდებოდა. ძველი სახელწოდება არც მის დღევანდელ დირექტორს ახსოვს და, სამწუხაროდ, არც ჩვენ.

იგი "სპორტვაჭრობის" კუთვნილება იყო. ის ამარაგებდა და საერთოდ ის განაგებდა მაღაზიის საქმეებს.

1992 წლიდან ახალმა სიომ დაჰბერა. დაიწყო მაღაზიების თვითმმართველობაზე გადასვლა და არც ამ სპორტული მაღაზიის თანამშრომლები ყოფილან გამონაკლისები. 1992 წლიდან მათ დამოუკიდებლად იწყეს მაღაზიის მოვლა-პატრონობა და მართვა. 1993 წელს კი გადაწყვიტეს თვითონ შეესყიდათ იგი და საბოლოოდ მისი პატრონნი თვითონ გამხდარიყვნენ...

დღეს რა საქონელს არ ნახავთ აქ. სპორტული საქონლის გვერდით ათასნაირი სამრეწველო საქონელი გაწონებთ თავს დახლებიდან, აქვე გაუხსნიათ ფოტო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ანტიკვარიატის სექციაც.

კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არცა აქვთ. ჯერჯერობით ასე უნდა გაიტანონ თავი. მაღაზია მოსახლეობისგან ღებულობს თითქმის ყველა სახის საქონელს, მის ღირებულებას ამატებს 10-15 პროცენტს, ასორტიმენტის მიხედვით და ჰყიდის...

ეს დღეს.

სამომავლოდ კი...

სამომავლო საქმეებზე საუბარი აშკარად სიამოვნებს მაღაზიის დირექტორს ზურაბ მახარაშვილს. ზურაბს ვაჭრობის დარგში უკვე კარგა ხნის გამოცდილება აქვს. პროფესიით საქონელმცოდნეს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული) ადრე საფირმო მაღაზია "საშენ მასალებში" უმუშავნია. – იქ გავიზარდეო – თვითონ ასე იხსენებს იმ წლებს. – სამომავლოდ კი ვფიქრობთ, ბევრი კარგი ჩანაფიქრი გვაქვსო – განაგრძობს ბატონი მახარაშვილი – საქმიანი ურთიერთობა დავამყარეთ ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან. უკვე გავაფორმეთ ხელშეკრულება. მალე ჩვენი მაღაზია ძველ იერს დაიბრუნებს, მხედველობაში მაქვს მაღაზიის საქონლის ასორტიმენტი – მთავარი პროფილი. იგი კვლავ მთლიანად სპორტული საქონლით ივაჭრებს. ოღონდ ეს საქონელი, გაცილებით უკეთესი ხარისხისა იქნება – მას მთლიანად გერმანული ფირმა მოგვაწვდის. ძირითადად "ადიდასის" ფირმის სპორტული საქონელი გვექნება, შეიძლება "პუმისაც". მართალია, ბევრს ნიშნავს მაღაზიის გარეგნული სახე, თანამედროვე დიზაინი, კარგი ინტერიერი, მაგრამ, მთავარი მაინც მოსახლეობის ინტერესები და მისი შესაძლებლობებია. სწორედ ამაზე გავამახვილეთ ყურადღება მომავალ გერმანელ პარტნიორებთან მოლაპარაკებისას. შეთანხმების დროს ხომ ორმხრივი ინტერესები იჩენს თავს. მათ ჩვენი მაღაზიის ტერიტორიული მდებარეობა და ფართობი მოეწონათ. ჩვენ მათ მიერ შემოტანილი საქონელი გვაინტერესებს. ოღონდ ვითხოვეთ გაითვალისწინონ მოსახლეობის დღევანდელი შეზღუდული ფინანსური მდგომარეობა და შედარებით იაფი საქონელიც შემოგვთავაზონ.

შეთანხმდნენ კიდეც. ასე რომ, სულ რამდენიმე თვეში თბილისელებს კვლავ დაუბრუნდებათ მაღაზია, რომელიც კვლავაც მხოლოდ სპორტული საქონლით ივაჭრებს. ვინ იცის, იქნებ მალე დაგვიბრუნდეს ძველებური ზაფხულებიც, როცა თბილისელები ერთიანად დასასვენებლად გაეშურებიან და აუცილებლად შეივლიან მაღაზიაში, რათა კვლავ შეიძინონ ზღვაზე თუ მთაში საჭირო სპორტული ნივთები...

ღმერთმა ინებოს...

ციალა კალმახელიძე

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

ბრძანებულების შესასრულებლად დაისახა ღონისძიებები

"პურპროდუქტების მრეწველობის საწარმოთა და ობიექტების პრივატიზების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 7 აგვისტოს №303 ბრძანებულების შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე ქონების მართვის მინისტრმა ბაგონმა ავთანდილ სილაგაძემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს დაევალათ საპრივატიზებო ობიექტების ადგილმდებარეობის მიხედვით უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული საწარმოების პრივატიზების ორგანიზება და საპრივატიზაციო კომისიების მიერ მომზადებული, პურპროდუქტების მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციასთან შეთანხმებული დოკუმენტაციის წარმოდგენის უზრუნველყოფა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში:

ა) 1995 წლის 1 ოქტომბრამდე – მცირე სიმძლავრის საცხობების, თონეების, პურის მიმღები საწარმოების და ა. შ. (დანართი 1).

ბ) 1995 წლის 1 იანვრამდე – სამუალო სიმძლავრის პურის ქარხნების, პურის (მარცვლეულის) მიმღები საწარმოების და ა. შ. (დანართი 2).

ამასთან, საპრივატიზაციო ობიექტებზე, მათი სასტარტო გასაყიდი ფასის განსაზღვრის დროს, მიყენებულ იქნას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 29.08.1995-ს №39.04.873 დადგენილებით მიღებული კოეფიციენტები.

ამავე ბრძანებით სამინისტროს აგროსამრეწველო სფეროს განყოფილებას ცალკეულ შემთხვევებში კი (პრივატიზების გრაფიკის ხელშეწყობის მიზნით) სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს დაევალათ უზრუნველყონ 1 ან მე-2 დანართში შეტანილი ობიექტების პრივატიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარება და საკითხების მომზადება სამინისტროს კოლეგიაზე არსებული წესით გასატანად.

ბრძანებულებით დამტკიცებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტების (დანართი 3) პრივატიზებას მოახდენს სამინისტროს მშენებლობის განყოფილება.

ბრძანების თანახმად საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას დაევალა უზრუნველყოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 7 მარტის №303 ბრძანებულების გამოქვეყნება გაზეთ "პრივატიზების მაცნე"-ში და ამ ბრძანების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებამდე დაყვანა.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს მინისტრის მოადგილე ბ-ნ ვ. ქარსელაძე.

დანართი 1

ნუსხა

პურპროდუქტების მრეწველობის საწარმოებისა და ობიექტებისა, რომელთა პრივატიზების ორგანიზაცია გათვალისწინებულია 1995 წლის 1 ოქტომბრამდე

№№	ობიექტის დასახელება
	შირმა "პური"
1.	პურის ქარხანა "კოლხეთი-90"
2.	საცხობი №1
3.	საცხობი №2
4.	საცხობი №3
5.	საცხობი №4
6.	საცხობი №5
7.	საცხობი №6
8.	საცხობი №7 ("სანაპირო")
9.	საცხობი №9
10.	საცხობი №11
11.	საცხობი №12 ("ავჭალა")
12.	საცხობი №14
13.	საცხობი №15
14.	საცხობი "გულანი"
15.	მცირე საწარმო "სამადლო"
16.	წყნეთის საცხობი
17.	მექანიკური თონე №1
18.	მექანიკური თონე №2
19.	მექანიკური თონე №4
20.	მექანიკური თონე №5
21.	მექანიკური თონე №6
22.	მექანიკური თონე №7
23.	მექანიკური თონე №8
24.	მექანიკური თონე №9
25.	მექანიკური თონე №10
26.	მექანიკური თონე №11 ("დიღომი-91")
27.	მექანიკური თონე №12
28.	მექანიკური თონე №13
29.	მექანიკური თონე №14
30.	მექანიკური თონე №15 ("მახარობელი")
31.	მექანიკური თონე №16
32.	მექანიკური თონე №17
33.	მექანიკური თონე №18 ("ლოგკინი")
34.	მექანიკური თონე №19
35.	მექანიკური თონე №20
36.	კოთპერაგიი "საამო"
37.	საცხობი "პოლიტექნიკური"
38.	საცხობი "ნუგბარი"
	პურის ქარხანა №2
39.	მექანიკური თონე
40.	მცირე საწარმო "ხაბაზი"
	პურის ქარხანა №4
41.	საფუნთუშე საამქრო
	პურის ქარხანა №5
42.	მექანიკური თონე
43.	საფუნთუშე საამქრო
	პურის ქარხანა №6
44.	მექანიკური თონე
45.	ორცხობილას საამქრო
	პურის ქარხანა №7
46.	პურის საამქრო №2
	თბილისის პურუნთუმეულის საცდელ-ექსპერიმენტული კომბინატი
47.	მექანიკური თონე
48.	მცირე საწარმო "ოქროს თავთავი"
	სანარმოო გაერთიანება "ქუთაისპური"
49.	პურის ქარხანა №5
50.	მექანიკური თონე №1
51.	მექანიკური თონე №2
52.	მექანიკური თონე №3
53.	საფუნთუშე საამქრო
54.	საბლითე საამქრო
55.	სიმინდის ბურბუშელის საამქრო
	წყალტუბოს პურკომბინატი
56.	საცხობი "გუმბრინი"
57.	მექანიკური თონე
58.	საფუნთუშე საამქრო
	ჭიათურის პურკომბინატი
59.	საფუნთუშე საამქრო
60.	ჭიათურის ს\ს "საშვეარდნო"
	ტყიბულის პურკომბინატი
61.	მექანიკური თონე
62.	კუსტარული თონე
63.	საცხობი "კურსები"
64.	მექანიკური თონე "გელათი"
65.	საკნაგუნას საამქრო
66.	საკონდიტრო საამქრო
67.	სიმინდის ჩხირების საამქრო
	ზესტაფონის პურკომბინატი
68.	საცდელი საამქრო
69.	საფუნთუშე საამქრო
70.	მექანიკური თონე №1
71.	მექანიკური თონე №2
72.	მექანიკური თონე №3
73.	მექანიკური თონე №4
	სამტრედიის პურკომბინატი
74.	მექანიკური თონე
75.	საფუნთუშე საამქრო
	ოზურგეთის პურკომბინატი
76.	საცხობი "ანასეული"
77.	მექანიკური თონე
78.	კუსტარული თონე
	ახალციხის პურკომბინატი
79.	მექანიკური თონე
80.	მექანიკური საცხობი
81.	საფუნთუშე საამქრო
	ბორჯომის პურკომბინატი
82.	საცხობი "ბაკურიანი"
83.	საცხობი "წაღვერი"
84.	მექანიკური თონე
85.	საფუნთუშე საამქრო
	ხაშურის პურკომბინატი
86.	მექანიკური თონე "ზუმათელეთი"
87.	კუსტარული თონე №1
88.	კუსტარული თონე №2
	გორის ს\ს "ქართლი"
89.	საცხობი
90.	მექანიკური თონე №1
91.	მექანიკური თონე №2
92.	მექანიკური თონე №3
93.	მექანიკური თონე №5 (საკონდიტრო)
94.	მექანიკური თონე №7 (საფირმო)
	თელავის ს\ს "თავთუხი"
95.	მექანიკური თონე
96.	საფუნთუშე საამქრო
	რუსთავის პურკომბინატი
97.	წარმოება №2
98.	წარმოება №4
99.	წარმოება №5
100.	წარმოება №6
	ფოთის პურკომბინატი
101.	საცხობი №2
102.	საფუნთუშე საამქრო
103.	მექანიკური თონე
	გუგლიდის პურკომბინატი
104.	საცხობი
105.	მექანიკური თონე
106.	საფუნთუშე საამქრო
	სენაკის პურკომბინატი
107.	საცხობი "ნოსირი"
108.	მექანიკური თონე
109.	საფუნთუშე საამქრო
	ბათუმის პურკომბინატი
110.	საცხობი №1
111.	საცხობი №2
112.	საცხობი №3
113.	მექანიკური თონე
	ქობულეთის პურკომბინატი
114.	საცხობი
115.	მექანიკური თონე №1
116.	მექანიკური თონე №2
117.	მექანიკური თონე №3
118.	მექანიკური თონე №4
	სხვა საწარმოები
118.	ბადიაურის პურის მიმღები საწარმო
120.	ზესტაფონის პურის მიმღები საწარმო
121.	ქარელის პურის მიმღები საწარმო
122.	საგარეჯოს პურის მიმღები საწარმო
123.	თელავის პურის მიმღები საწარმო
124.	ხაშურის პურის მიმღები საწარმო
125.	ჭიათურის პურის მიმღები საწარმო
126.	ქორდის ლ\სოფლის მეურნეობა
127.	გარდაბნის დ\სოფლის მეურნეობა
126.	თბილისის საფუარის ქარხანა
129.	თბილისის სამშენებლო სამონტაჟო კომბინატი
130.	კორპორაციის აეგოფარეხი

დანართი 2

ნუსხა

პურპროდუქტების მრეწველობის საწარმოებისა და ობიექტებისა, რომელთა პრივატიზების ორგანიზაცია გათვალისწინებულია 1996 წლის 1 იანვრამდე

№№	ობიექტის დასახელება
	შირმა "პური"
1.	საცხობი №8
2.	საცხობი №10 ("მარგვილი")
3.	მექანიკური თონე №3
	პურის ქარხანა №4
4.	მექანიკური თონე
	თბილისის პურუნთუმეულის საცდელ-ექსპერიმენტული კომბინატი
5.	საბლითე საამქრო
	სანარმოო გაერთიანება "ქუთაისპური"
6.	პურის ქარხანა №2
7.	პურის ქარხანა №3
8.	პურის ქარხანა №4
	წყალტუბოს პურკომბინატი
9.	პურის ქარხანა
	ოზურგეთის პურკომბინატი
10.	პურის ქარხანა
	ახალციხის პურკომბინატი
11.	პურის ქარხანა
	ბორჯომის პურკომბინატი
12.	პურის ქარხანა
	ხაშურის პურკომბინატი
13.	მექანიკური თონე და საფუნთუშე
	გუგლიდის პურკომბინატი
14.	პურის ქარხანა

დარართი №3

ნუსხა

პურპროდუქტების სისტემის დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტებისა, რომელთა პრივატიზების ორგანიზაცია უნდა განხორციელდეს კონკურსის წესით (პირველი ეტაპი)

№№	ობიექტის დასახელება
1.	სამტრედიის წისქვილკომბინატი
2.	თბილისის მაკარონის ფაბრიკა
3.	პურპროდუქტების კომბინატი ხელვაჩაურის რ-ში
4.	პურის საცხობი ქ. ფოთში
5.	მარნეულის სამუშაო ეზო
6.	პურის საცხობი დიდ დიღომში
7.	პურის საცხობი წნორში
8.	პურის საცხობი ზემო ფონიჭალაში
9.	პურის ქარხანა ოზურგეთში
10.	წნორის წისქვილქარხნის მშენებლობა
11.	ადმინისტრაციული შენობების მიშენება

მხოლოდ ციფრები

01 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა ვამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
001	ამალთეა	140869	29	5	34	3507	143	3650	138700	38	2169	98.45	55.48
005	ჩარხი-ხაზი	70000	11	0	11	876	0	876	39420	45	30580	56.31	65.70
009	ღუზანი	90000	3	0	3	32	0	32	1440	45	88560	1,60	65.70
010	გამოფენა-ცენტრი	34500	8	0	8	793	0	793	34099	43	401	98.84	62.78
033	მინის ტარის ქარხანა	77000	4	1	5	11	6	17	765	45	76235	0.99	65.70
036	ქუთაისის საკონდიტრო ქარხანა	97000	11	1	12	319	270	589	26505	45	70495	27.32	65.70
045	თბილმელანქე	37000	1	1	2	1	270	271	12195	45	24805	32.96	65.70
063	ავიასერვისი	39000	17	2	19	905	271	1176	38808	33	192	99.51	48.18
064	მერკური-92	140000	9	0	9	30	0	30	1350	45	138650	0.95	65.70
079	ფარნავაზი	135000	1	0	1	1	0	1	45	45	134955	0.03	65.70
089	უქსოვადი ქსოვილები	380000	11	4	15	149	10	159	7155	45	372845	1.88	65.70
099	ნინო	62000	7	3	10	1423	410	1833	60456	33	1544	97.51	48.18
100	ლაინი	15000	3	0	3	7	0	7	315	45	14685	2.10	65.70
129	ავტომემკეთებელი2	15000	3	0	3	701	0	701	14721	21	279	98.14	30.66
130	ცენტრალური სუპერმარკეტი	72000	31	3	34	2015	12	2027	70945	35	1055	98.53	51.10
166	ისანი	280000	8	0	8	3326	0	3326	149670	45	130330	53.45	65.70
204	მარკეტკრწანისი	177000	11	1	12	4434	5	4439	173121	39	3879	97.81	56.94
233	მაცნე	34400	2	1	3	136	810	946	3456	36	344	99.00	52.56
258	თბილისის ნავთობპროდუქტი	115000	15	1	16	2603	5	2608	114752	44	248	99.78	64.24
259	ვაგი	276000	2	0	2	2	0	2	90	45	275910	0.03	65.70
286	საწარმო უბრუნველყოფა	77000	1	0	1	1	0	1	45	45	76955	0.06	55.70
287	თბილისის ქაღალდის ფაბრიკა	70000	7	1	8	552	1	553	24885	45	45115	35.55	65.70
351	ხიდმშენი	315000	2	0	2	2	0	2	90	45	314910	0.03	65.70
359	სილიკატი	110000	1	1	2	1	1	2	90	45	109910	0.08	65.70
367	აქატი	80000	3	1	4	273	136	409	18405	45	61595	23.01	65.70
	სულ:	2938769	201	26	227	22100	2350	24450	962123	42	1976646	32.74	

02 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
004	სასტუმრო "აჭარა"	335000	17	0	17	2264	0	2264	101880	45	233120	30.41	65.70
011	ლეჩხუმი	163000	1	0	1	3375	0	3375	151875	45	11125	93.17	65.70
012	კამშენი	105000	2	0	2	2367	0	2367	104148	44	852	99.19	64.24
014	ავტოტრანსსისტემა	34500	8	1	9	826	1	827	33907	41	593	98.28	59.86
016	განთიადი	180000	2	0	2	2660	0	2660	119700	45	60300	66.50	65.70
017	კამეოლნართი	130000	3	0	3	4090	0	4090	126790	31	3210	97.53	45.26
025	მეტალი	34300	3	0	3	1319	0	1319	34294	26	6	99.98	37.96
027	კოლხეთი	54000	1	0	1	1400	0	1400	53200	38	800	98.52	55.48
029	ტრანსმშენი	300000	0	0	0	0	0	0	0	0	300000	0.00	0.00
032	ქუთაისის ლითოფონის ქარხანა	322000	3	0	3	20	0	20	900	45	321100	0.28	65.70
034	მუხა	98500	2	0	2	2243	0	2243	96449	43	2051	97.52	62.78
043	საქმშენელექტრო	175000	0	0	0	0	0	0	0	0	175000	0.00	0.00
054	თბილქიმფარმი	275000	11	0	11	7026	0	7026	27414	39	986	99.64	56.94
057	საქტარა	72000	0	0	0	0	0	0	0	0	72000	0.00	0.00
058	საქართველოს მაქრის კტი	220000	7	0	7	5281	0	5281	216521	41	3479	98.42	59.86
084	ფარდაგი	23800	1	0	1	530	0	530	23320	44	480	97.98	64.24
093	ნავთობპროდუქტი	42000	2	1	3	1100	1	1101	41838	38	162	99.61	55.48
119	თბ. ორგანთთერაპ. პრეპარატ ქ-ნა	33000	7	0	7	3263	0	3263	32630	10	370	98.88	14.60
126	კედარი	30300	1	0	1	700	0	700	30100	43	200	99.34	62.78
128	ტახომეტრი	20000	2	0	2	455	0	455	19565	43	435	97.83	62.78
134	აისბერგი	230000	5	0	5	6016	0	6016	228608	38	1392	99.39	55.48
144	ალეკო	60000	1	0	1	1370	0	1370	58910	43	1090	98.18	62.78
145	კონსტრუქცია	251000	0	0	0	0	0	0	0	0	251000	0.00	0.00
154	ბეღელი	36000	3	0	3	805	0	805	35420	44	580	98.39	64.24
161	სარკმელი	200000	0	0	0	0	0	0	0	0	200000	0.00	0.00
167	საქვაჭრობტექნიკა	28000	6	1	7	670	40	710	27690	39	310	98.89	56.94
177	იბეროტექსი	108000	7	0	7	2400	0	2400	108000	45	0	100.0	65.70
186	ქარავანი	65000	1	0	1	1161	0	1161	52245	45	12755	80.38	65.70
207	იადონი	78000	5	0	5	1738	0	1738	76472	44	1528	98.04	64.24
217	საქკაბელი	93000	7	0	7	7040	0	7040	91520	13	1480	98.41	18.98
219	ეგრისი	54500	12	1	13	2531	15	2546	53466	21	1034	98.10	30.66
227	ბიზნესცენტრი სოფმშენი	92000	5	0	5	2783	0	2783	91839	33	161	99.83	48.18
230	რექტიფიკატი	64000	28	1	29	8573	225	8798	60011	7	3889	93.77	10.22
239	საქართველოს ქვა	70000	0	0	0	0	0	0	0	0	70000	0.00	0.00
249	ჭიჭნაური	46000	2	0	2	1033	0	1033	45452	44	548	98.81	64.24
289	სოსისების ქარხანა	23000	9	0	9	1155	0	1155	21945	19	1055	95.41	27.74
298	ოპიმარი	19000	2	4	6	483	13	496	18848	38	152	99.20	55.48
340	ფოთის წისქვილქარხანა	142000	32	4	36	12048	5	12053	132528	11	9472	93.33	16.06
370	ბაჯიფი	117000	1	0	1	3	0	3	135	45	116865	0.12	65.70
391	გაჯი	72000	12	1	13	2020	8	2028	70980	35	1020	98.58	51.10
392	საქქალაქმშენი	78000	4	0	4	2811	0	2811	75897	27	2103	97.30	39.42
393	საუფლისწულო მამული	30000	20	1	21	10105	7	10113	20212	2	9788	67.37	2.92
416	სასტუმრო "იეერია"	250000	10	2	12	5707	45	5752	247336	43	2664	98.93	62.78
465	ექსპერიმენტი	44000	0	0	0	0	0	0	0	0	44000	0.00	0.00
470	რუსთაველემენტი	400000	21	4	25	3440	795	4235	190575	45	209425	47.64	65.70
488	ინტერტრანსსერვისი-საზღ. ვაჭრ.	62000	11	2	13	3176	11	3187	60534	19	1466	97.64	27.74
511	სამენმასალები	68000	0	0	0	0	0	0	0	0	68000	0.00	0.00
588	ფასანაური	23500	3	0	3	885	0	885	23010	26	490	97.91	37.96
687	გარდაბანი	380000	0	1	1	0	3	3	135	45	379865	0.04	65.70
726	ლეკა	43000	3	0	3	958	0	958	42152	44	848	98.03	64.24
756	საქქალაქმშენპროექტი	59500	20	7	27	1145	54	1199	53955	45	5545	90.68	65.70
156	თბილღვინო	156000	12	1	13	6977	2	6979	153494	22	2506	98.39	32.12
	სულ:	6228300	315	32	347	129166	1247	130413	3502500	20	2725800	56.24	

03 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
006	"ეკრანი"(თბ.ტელევიზორების ქ-ნა)	600000	5	0	5	25	0	25	1125	45	598875	0.19	65.70
030	"პოლიმერული ნაკეთობა"	180000	12	0	12	4010	0	4010	176440	44	3560	98.02	64.24
031	"ქუთაისის ბამბის საქსოვი ფ-კა"	78000	8	0	8	744	0	744	33480	45	44520	42.92	65.70
039	"ქუთ.ტ.ტაბიძის სახ.მე-5 სტამბა"	29000	23	0	23	1090	0	1090	28340	26	660	97.72	37.96
050	"ლერწამი"(სურსათის დაფასოება)	32000	1	1	2	711	5	716	31995	45	5	99.98	65.70
055	"კოლხური აბრეშუმი"(ქუთაისი)	540000	2	0	2	11	0	11	495	45	539505	0.09	65.70
082	"მასპინძელი"	350000	24	0	24	7975	0	7975	342925	43	7075	97.98	62.78
078	"ცენტროლიგი"(თბ.ფოლ.თუჯ.სამს.)	320000	0	1	1	0	40	40	1800	45	318200	0.56	65.70
083	"ელექტროაგომაგი"	120000	0	0	0	0	0	0	0	0	120000	0.00	0.00
085	"ენისელი"(კონიაკის წარ.სამ.კომ)	435000	24	2	26	10391	241	10632	425280	40	9720	97.77	58.40
086	გორგოგა"(ხაშურის საფეიქრო-საგ)	575000	0	0	0	0	0	0	0	0	575000	0.00	0.00
111	"ქუთაისის რძის კომბინაგი"	80000	25	1	26	687	2	689	31005	45	48995	38.76	65.70
127	"თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა"	140000	4	1	5	1894	1115	3009	135405	45	4595	96.72	65.70
133	"ბზვანი"(ქუთ.ღვინის გად.ქ-ნა)	60000	5	0	5	2407	0	2407	57768	24	2243	96.28	35.04
164	"კეგელი"(ვბ.ნომერი 4 სტამბა)	28000	12	0	12	1780	0	1780	26700	15	1300	95.36	21.90
174	"წაღა"(საქფეხსაცმ.ეაჭრ."ქუთა.ს")	3600	11	0	11	88	0	88	3520	40	80	97.78	58.40
176	"რაში"(ქუთაისის ავგომოგოსერ.)	40000	1	1	2	7	11	18	810	45	39190	2.03	65.70
178	თბილაბრეშუმი "ცისარტყელა"	470000	0	0	0	0	0	0	0	0	470000	0.00	0.00
179	"არომაგი"(კასპის საკონს.ქ-ნა)	54000	3	2	5	1220	20	1240	53320	43	680	98.74	62.78
180	"თრიალეთი"(კასპის საკონს.ქ-ნა)	80100	1	0	1	1780	0	1780	80100	45	0	100.0	65.70
322	"ელეგანტი"(ავეჯის სახლი 2)	130000	2	0	2	2895	0	2895	127380	44	2620	97.98	64.24
323	"ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა"	12500	5	0	5	1402	0	1402	11216	8	1284	89.73	14.68
376	"ხირსა"(სიღ.მეევნახ.მეღვ.სამ.კ)	170000	7	1	8	3351	5	3356	151020	45	18980	88.84	65.70
507	"ფოთიგორფი"(ფოთის მუნიციპალ.ს)	69000	0	0	0	0	0	0	0	0	69000	0.00	0.00
528	"ცენტრალური ავგოვაგზალი"(თბ.ც.)	59000	9	0	9	2046	0	2046	57288	28	1712	97.10	40.88
607	"საქტელეფონმშენი"(თბ.ტელეფონმშ.)	21000	3	0	3	542	0	542	20596	38	404	98.08	55.48
632	"მერანი"(თბ.წინდ.ფ-კა "მერანი")	27000	3	0	3	698	0	698	26524	38	476	98.24	55.48
533	"ბიოფარმი"(ბაქტერიოფაგის ქეს.)	18000	5	0	5	406	0	406	17864	44	136	99.24	64.24
534	"ლიოფილიზაცია"(ბაქტერიოფაგის ქ)	18000	1	0	1	6	0	6	270	45	17730	1.50	65.70
577	"კეადრი"(სამშ.საწარმოო კომბინ.)	15000	0	0	0	0	0	0	0	0	15000	0.00	0.00
	სულ:	4754200	196	10	206	46165	1439	47605	1842656	9	2911534	38.75	

04 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი	სააქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი)			ვაუჩერების რაოდენობა (ცალი)			გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
			1 ტიპი	2 ტიპი	სულ	1 ტიპი	2 ტიპი	სულ					
026	"საჩინო"	69000	0	0	0	0	0	0	0	0	69000	0.00	0.00
037	"სამთოქიმმშენი"	180000	1	0	1	2	0	2	90	45	179910	0.05	65.70
085	"ლერიტა"	190000	28	4	32	4275	4	4279	188276	44	1724	99.09	64.24
087	"მუხნარი"	65000	1	0	1	2	0	2	90	45	64910	0.14	65.70
097	"ხაშურის მინის ტარა"	550000	138	1	139	23040	10	23050	529920	23	20080	96.35	33.58
101	"მზეთამზე"	25000	2	0	2	585	0	585	24570	42	430	98.28	61.32
102	"შენება"	39000	0	0	0	0	0	0	0	0	39000	0.00	0.00
105	"ლაკადა"	28500	0	0	0	0	0	0	0	0	28500	0.00	0.00
115	"ლითოგრაფი"	10000	1	0	1	14	0	14	630	45	9370	6.30	65.70
118	"იმაბელა"	30000	2	0	2	3	0	3	135	45	29865	0.45	65.70
122	"პროექტმშენი"	150000	1	0	1	3355	0	3355	147620	44	2380	98.41	64.24
123	"სოკო"	125000	0	0	0	0	0	0	0	0	125000	0.00	0.00
181	"კაზე"	20000	7	0	7	301	0	301	13545	45	6455	67.73	65.70
222	"კოლხეთი"	46000	4	0	4	29	0	29	1305	45	44695	2.84	65.70
242	"კაჭრეთი"	180000	4	0	4	3670	0	3670	165150	45	14850	91.75	65.70
302	"აგენი"	45000	4	0	4	1006	0	1006	44264	44	736	98.36	64.24
336	"გრაალი-92"	90000	0	0	0	0	0	0	0	0	90000	0.00	0.00
403	"რუსთავხორცი"	36000	0	0	0	0	0	0	0	0	36000	0.00	0.00
425	"მრეწველი"	30000	0	0	0	0	0	0	0	0	30000	0.00	0.00
454	"ავტოგრანსი"	15000	1	0	1	307	0	307	13815	45	1185	92.10	65.70
457	"ბორჯომის ტურისტული გაერთ-ბა"	53000	3	0	3	1271	0	1271	52111	41	889	98.32	59.86
501	"სარინი"	44000	0	0	0	0	0	0	0	0	44000	0.00	0.00
503	"მექანომონტაჟი"	33000	0	0	0	0	0	0	0	0	33000	0.00	0.00
557	"მშენებელი-95	39000	0	0	0	0	0	0	0	0	39000	0.00	0.00
565	"ალაზანი"	24000	0	1	1	0	534	534	23496	44	504	97.90	64.24
591	"ელექტროსამაგრები"	35000	0	0	0	0	0	0	0	0	35000	0.00	0.00
672	"თბილისის ტყავის საწარმ.გაერთ."	57000	4	0	4	3585	0	3585	53775	15	3225	94.34	21.90
676	"ქიმრემმშენი"	40000	0	0	0	0	0	0	0	0	40000	0.00	0.00
691	"მშვიდობა"	59000	0	0	0	0	0	0	0	0	59000	0.00	0.00
710	"მშენებელი"	135000	1	0	1	1	0	1	45	45	134955	0.03	65.70
	სულ:	2442500	202	6	208	41446	548	41994	1258837	5	1183663	51.54	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№13 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1995 წ. 27 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის 17 საათამდე.
1 აქციის ნომინალური ღირებულება=1000 კუპონს=1,46 აშშ დოლარს.
აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.

№	აუქც	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა	% საწესდებო კაპიტალთან	ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში	აქციათა გამოშვების კოდი	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავ. მიწის ფართობი-ha
1	XIII	13. "ოდარა"(ხონი "პოლიმერკონტეინერი")	530045	190000	35.85	277777.78	620-013	ხონი მოსე ხონელის 186	ვ.კაკაბაძე	11
2.	XIII	108."მარნეულის ნავთობპროდუქტი"(კომ.შ.ს.)	168170	60000	35.68	87719.298	320-108	მარნეული,იაღლუჯის 5,ტ.22056	ზ.ამაშუკელი	8
3.	XIII	150."გუმათის მრავალდარგოვანი კ-ტი"(ქუთ.)	60298	22000	36.49	32163.743	480-150	ქუთაისი, ონის 2	ა.ცქიფურიშვილი	4
4.	XIII	158."გრაციი"(ზესტაფონის სამკერვ.ფ-კა)	147727	52000	35.2	76023.392	210-158	ზესტაფონი,მეგობრობის გამ8,ტ.53581,5114	კ.ქათამაძე	0.81
5.	XIII	183."ამწე"(კომკურა და თვითმავ.ამწ.ს-ლო)	227172	80000	35.22	116959.06	140-183	გარდაბანი,ს.გამარჯვება-2	კ.ბიკაშვილი	2
6.	XIII	200."ქუთაისის საწარმ.საკომპლექტაც.ბაზა"	81360	29000	35.64	42397.661	480-200	ქუთაისი,შევჩენკოს 21	თ.ყენია	34.21
7.	XIII	248."თელავის ნავთობპროდუქტი"(თელ.კ.შ.ს.)	74285	26000	35	38011.696	250-248	თელავი,ა.ჩინებული,ტ.34394	თ.არჯევანიძე	8.8
